პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 მარტი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 54 (8865) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტული თამაშები

# სტარტზეა ჩვენი სპორტის მომავალი

**როგორც ცნობილია, წელს პირველად ტარდება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი, ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტული თამაშები. ფინალური შეჯიბრებები ერთ-ერთ სახეობაში — საციგაო სპორტში (სვერდლოვსკი) უკვე დამთავრდა. საქართველოს წარგზავნილებმა გუნდური მეათე ადგილი დაიკავეს. სულ მალე ასპარეზზე გამოვლენ კიდევ ოთხი სახეობის წარმომადგენლები: სამთო-სათხილამურო სპორტის, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომის, სათხილამურო რბოლისა და ფიგურული სრიალის ოსტატები. პირველ ორს კიროვსკი უმასპინძლებს, მომდევნო ორს კი — შესაბამისად მურმანსკი და ჩელიაბინსკი.**

**როგორ** ემზადებოდნენ ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები?

## სამთო-სათხილამურო სპორტი

**გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის ოსტატი ლეონიდ ბანდური, მწვრთნელები გიორგი ჯიჩოევი და გივი ჯაფარიძე.**

**ნაკრებმა** ვარჯიში საერთო ფიზიკურ მომზადებაში ივლისში დაიწყო, თავდაპირველად ტერსკოლში, მერე ქობულეთსა და ბაკურიანში (სექტემბრამდე). თოვლზე გამოსვლა გუნდის წევრებს პირველად ნოემბრის შუა რიცხვებში მოუხდათ ბაკურიანში. დეკემბერში ჩვენი სამთომოთხილამურენი (უმრავლესობა დინამოელია) უკვე პირველ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ეს ასპარეზობა სლავსკოეში (ლვოვის ოლქი) გაიმართა. გუნდის დანარჩენ წევრებს კი უმაღლესი დაოსტატების სკოლის ბაზაზე ჰქონდათ შეკრება ბაკურიანში. აქვე გაიმართა ცნობილი მწვრთნელის პავლე კოზანაშვილის მემორიალი, სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ტრადიციული შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. ამ შეჯიბრებებში სხვებთან ერთად ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბაკურიანის ახალი საბაგირო გზის „ტატრაპომას" მწყობრში ჩადგომამ საგრძნობლად შეუწყო ხელი გუნდს მზადებაში.

იანვარში აქვე, ბაკურიანში გამართული ჭაბუკთა ზამთრის პირველი რესპუბლიკური თამაშების შედეგების მიხედვით საბოლოოდ დაკომპლექტდა ნაკრები (ექვს-ექვსი ჭაბუკი და ქალიშვილი), რომელიც 18 თებერვლიდან შეუდგა საკავშირო თამაშებისათვის მზადების ბოლო ციკლს. გუნდს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მწვრთნელი ლეონიდ ბანდური.

აი, ვინ იცავს ჩვენი რესპუბლიკის სახელს კიროვსკის დიდ სტარტებში: გოგონათა უფროს ასაკში — ბაკურიანელები დალი მიქაბერიძე („დინამო") და ფატი ფილიევა („კოლმეურნე"), თბილისელი ნატო გეგუჩაძე („დინამო"), უმცროს ასაკში—მესტიელი ეკა უშხვანი („კოლმეურნე"), თბილისელი ლეილა ზერაკიძე („დინამო") და ბაკურიანელი ინგა მაისურაძე („დინამო"). ყველა მათგანი პირველთანრიგოსანია. ჭაბუკთა ნაკრები ასე გამოიყურება: უფროსი ასაკი — თბილისელები გიორგი ხაზარაძე და გიორგი გაჩეჩილაძე (ორივე — „დინამო"), მესტიელი თეზი ჯაფარიძე („კოლმეურნე"), უმცროსი ასაკი — მესტიელი მალხაზ უდესიანი („კოლმეურნე"), თბილისელი გურამ ასათიანი (განათლების სამინისტრო) და ბაკურიანელი დავით ოგანეზოვი („შრომითი რეზერვები").

ნაკრებმა საკუთარი ძალები უკანასკნელად თებერვლის დამლევს გაზეთ „ლელოს" პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში და ვიქტორ სანაკოევის მემორიალში მოსინჯა, 11 მარტს კი გაემგზავრა კიროვსკში — საკავშირო სტარტის ადგილზე.

რა შეიძლება ითქვას გუნდის მზადყოფნის შესახებ? სპორტსმენები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად არიან მომზადებულნი, ენერგიულად ვარჯიშობდნენ სპეციალურ და გიგანტურ სლალომში, რაც შეეხება სწრაფდაშვებას, ამ სახეობაში გეგმით გათვალისწინებული პროგრამა სრულად ვერ შეასრულეს, ძირითადად უამინდობის გამო.

## ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა

**გუნდის უფროსი მწვრთნელია სპორტის ოსტატი ზელიმხან თვაური, მწვრთნელები: სარქის ხაჩატურიანი და ბექან ქუმარიტაშვილი.**

**მზადება** ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის გუნდმა გასული წლის სექტემბერში საერთო ფიზიკური მომზადებით დაიწყო. თვის ბოლოს პირველად იასპარეზა გორკის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე გამართულ სსრ კავშირის პირველობაზე ჭაბუკებს შორის. დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა — ჩვენმა გუნდმა (კახა წაქაძე, იბრაგიმ გობოზოვი, ვალერი მინასიანი) გამარჯვება არავის დაუთმო, ხოლო 15 წლის კახა წაქაძე უძლიერესი იყო პირად ჩათვლაშიც. მომდევნო თვეში ჩვენმა ნაკრებმა მზადება შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტ ლესელიძეში განაგრძო, ხოლო ნოემბერ-დეკემბერი ურალში, კერძოდ ნიჟნი-ტაგილში გაატარა. აქვე ჩვენმა მფრინავმა მოთხილამურეებმა მონაწილეობა მიიღეს სეზონის გახსნის პრიზზე გამართულ ტრადიციულ შეჯიბრებებში, სადაც ბაკურიანელმა ვალერი იარემოვმა გაზეთ „ურალსკი რაბოჩის" პრიზი მოიპოვა და სპორტის ოსტატობის ნორმატივიც შეასრულა. წლის ბოლოს, ბაკურიანში გამართული ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ასპარეზობაში ჩვენი უძლიერესი მფრინავი მოთხილამურეებიც გამოდიოდნენ. ამას მოჰყვა ასპარეზობა „ლელოს" პრიზზე და საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ბაკურიანის 40 და 70-მეტრიან ტრამპლინებზე ჩატარდა. იანვარში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება დასრულდა ნიჟნი-ტაგილსა და გორკის ტრამპლინებზე.

მარტის პირველ ნახევარში ნაკრების კანდიდატები მონაწილეობდნენ ჭაბუკთა ზამთრის I რესპუბლიკურ სპორტულ თამაშებში. ეს იყო ძალების უკანასკნელი შემოწმება საკავშირო ასპარეზობის წინ. აქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები გუნდი, რომელიც რესპუბლიკის სპორტის ღირსებას კიროვსკის 50 და 70-მეტრიან ტრამპლინებზე დაიცავს. აქ გამოვლენ: უმცროს ასაკში (1968-1969) — ოსტატობის კანდიდატი კახა წაქაძე, სპორტის ოსტატი ულგუჯა ორჯონიკიძე, ოსტატობის კანდიდატი იბრაგიმ გობოზოვი და პირველთანრიგოსანი ვალერი მინასიანი, უფროსი ასაკი (1966-1967) — სპორტის ოსტატი ვალერი იარემოვი და პირველთანრიგოსანი დავით დიაკონაშვილი.

— ჩვენს გუნდს გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს საპრიზო ადგილისათვის, — გვითხრა ზელიმხან თვაურმა. — მთავარ კონკურენტებად რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებს ვთვლი, მათ შორის საკავშირო ნაკრების წევრებს, ნიჭიერ მხტომელებს —. ვაშურინსა და ესინს. ვფიქრობ, მზადებისათვის დასახული გეგმა ძირითადად შევასრულეთ, ცოტა ამინდსაც რომ ხელი შეეწყო, უსათუოდ მეტს შევძლებდით. კოლექტივში მეგობრული განწყობილება სუფევს, ეს კი, ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, ცოტას როდი ნიშნავს. რაც მთავარია გუნდის თითოეული წევრი გამარჯვების რწმენითაა აღსავსე.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**ოთარ ოთარაშვილი.**

იხ. მე-2 გვ.



თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა გუნდი. მარცხნივ — მწვრთნელი ზელიმხან თვაური.

## სამი ოქროს მედალი

**ალმა-ათაში** დამთავრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა ახალგაზრდებს შორის. 95 კგ წონაში გაიმარჯვა გელა ზერუაშვილმა, ხოლო მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ავთანდილ გუბელაძე. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა რსფსრ-ს კოლექტივის შემდეგ. დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ მკითხველს „ლელოს" უახლოეს ნომერში მოვუთხრობთ.

## საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და საუწყებო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

**რესპუბლიკის** სპორტკომიტეტი შეგახსენებთ, რომ თბილისსა და რესპუბლიკის რაიონებში ატესტაციის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, სკოლის მეთოდისტები, მწვრთნელ-მასწავლებლები ატესტაციის გასავლელად უნდა მოავლინოთ საქართველოს სპორტკომიტეტში. 21-22, 26-28-29 მარტს კომისია იმუშავებს 15 საათიდან. ასეთივე კომისიები იმუშავებენ ქუთაისში 21 მარტს, 10 საათიდან, ხოლო ბათუმში — 27-28 მარტს 10 საათიდან. ტერიტორიულად ახლომდებარე რაიონების მკვიდრთ შეუძლიათ ატესტაცია ამ ქალაქებში გაიარონ.

ატესტაციის გარეშე დარჩენილი პირები 1985 წლის 1 აპრილიდან სამსახურში არ დაიშვებიან.

**საქართველოს სპორტკომიტეტი.**

ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტული თამაშები

# სტარტზეა ჩვენი სპორტის მომავალი



მრბოლელთა ნაკრები. მარცხნივ — უფროსი მწვრთნელი ვალერი კოზანაშვილი.

## სათხილამურო რბოლა

**უფროსი მწვრთნელია ვალერი კოზანაშვილი, მწვრთნელი ვლადიმერ ბატურინი**

**სსრ კავშირის** ზამთრის V სპარტაკიადაზე კრასნოიარსკში ჩვენი რესპუბლიკის მრბოლელები ერთობ უხეიროდ გამოვიდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მათგან საუკეთესო ოცდამეათე იყო, უმრავლესობამ კი საერთოდ ვერ დაამთავრა რბოლის დისტანცია. გუნდურ ჩათვლაში გაგვისწრეს ისეთმა კოლექტივებმაც, რომელთაც ადრე იოლად ვუგებდით. რამ გამოიწვია ეს? პირველ ყოვლისა, ჩვენში მრბოლელთა ჯგუფების დახურვამ. ეს სახეობა ფაქტიურად მხოლოდ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეში“ დარჩა. უნდა ითქვას ისიც, რომ სარბიელზე აღარ გამოდიან ჩვენი უძლიერესი მრბოლელები ნანა ბალაშვილი, რევაზ გულბანი, იაგო ნასყიდაშვილი, ლევან სოლოიანი, როლანდ მაკიევი.

საბედნიეროდ, ამ ორიოდე წლის წინ უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლის ბაზაზე კვლავ გაიხსნა სათხილამურო რბოლის ჯგუფები — ბაკურიანში და ბოგდანოვკაში. ახლა უკვე რეგულარულად ტარდება შეკრებები, შეჯიბრებები, მრბოლელებს მაღალხარისხოვანი ინვენტარი და ფორმა აქვთ. გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია. კემეროვოში გამართული სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა 194 ქულა მოიპოვა და მე-9 ადგილზე გავიდა (წინა თამაშებზე ვორონეჟში უკანასკნელ, მე-13 ადგილზე ვიყავით).

სხვათა შორის ჭაბუკთა რესპუბლიკური ნაკრები მთლიანად „კოლმეურნეს“ წევრებითაა დაკომპლექტებული.

მზადება საკავშირო თამაშებისათვის ნაკრებმა გორგოლაჭებიანი თხილამურებით მაისში დაიწყო, ძირითადად ბაკურიანსა და ბოგდანოვკაში. პირველი ერთობლივი შეკრება ივლისში სვერდლოვსკში, უკტუსის მთების მიდამოებში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ბაზაზე. აგვისტოში გუნდი კვლავ ორად გაიყო, სექტემბრიდან კი ისევ ერთობლივად განაგრძეს მეცადინეობა ბაკურიანის გორგოლაჭებიანი თხილამურებით სარბოლ ტრასაზე. ოქტომბერი ე. წ. იმიტაციურ ვარჯიშს დაეთმო სვერდლოვსკში. პირველ თოვლზე ჩვენი მრბოლელები ნოემბრის დამდეგს მანჩეგორსკში გამოვიდნენ, 20 ნოემბრიდან კი მონაწილეობა მიიღეს პირველ შეჯიბრებაში — „ურალის თასის“ გათამაშებაში. აქ მოხდა ძალების პირველი საბრძოლო შემოწმება, გუნდის მწვრთნელები მრბოლელთა მზადებით ძირითადად კმაყოფილნი დარჩნენ.

ამას მოჰყვა დეკემბერში გამართული ასპარეზობა ბაკურიანში (სეზონის გახსნის პრიზზე), ახალი წლიდან კი ჩვენს ნაკრებს ამ სეზონში მეოთხედ უმასპინძლა სვერდლოვსკმა.

მზადების დასკვნითი ეტაპი გუნდმა ბაკურიანსა და მანჩეგორსკში (მურმანსკის ოლქი) გაიარა, სადაც საბოლოოდ დადგინდა ნაკრების შემადგენლობა. იგი სულ 14 სპორტსმენისაგან შედგება (8 ჭაბუკი და 6 ქალიშვილი — ნაცვლად რვისა). 6 მათგანი ბოგდანოვკელია, 5 —ბაკურიანელი (ყველა—ბიჭები) და 3 — მესტიელი.

დღეისათვის გუნდის წევრთა უმრავლესობა კარგ სპორტულ ფორმაშია, განსაკუთრებით გია გვარამაძე, ვლადიმერ ქუმარიტაშვილი, ივანე გოლოლობოვი, ლია შერვაშიძე, სვეტლანა პოპოვა. ავადმყოფობის გამო რამდენადმე მოგვიანებით ჩადგა ფორმაში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, მესტიელი რეზო შერვაშიძე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს წარგზავნილებისათვის მურმანსკის თოვლიანი ტრასები კრასნოიარსკის თეთრ ბილიკებთან შედარებით უფრო სწრაფი იქნება.

## დებიუტანტი



**ლეილა ზერაკიძე**

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

**დაიბადა 1970 წლის 18 ივლისს თბილისში.**
**სიმაღლე 160 სმ, წონა 45 კგ.**
**პირველთანრიგოსანი,**
**განათლების სამმართველო.**
**თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.**
**ვარჯიში დაიწყო 1979 წელს.**
**მწვრთნელი გიორგი ჯიჩოევი.**
**საქართველოს 1983 წლის პირველობაში გამარჯვებული გოგონათა შორის (გიგანტური სლალომი), მეორე პრიზიორი სპეციალურ სლალომში, თბილისის ჩემპიონი გიგანტურ და სპეციალურ სლალომში, ჭაბუკთა ზამთრის I რესპუბლიკური სპორტული თამაშების ჩემპიონი უმცროს ასაკში (სწრაფდაშვება).**
**მონაწილეობს ზამთრის I საკავშირო თამაშებში.**

**ეკა უშხვანი**

**სამთო-სათხილამურო სპორტი.**

**დაიბადა 1969 წლის 23 მაისს მესტიაში.**
**სიმაღლე 165 სმ, წონა 61 კგ**
**პირველთანრიგოსანი,**
**სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ წევრი.**
**მესტიის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.**
**ვარჯიში დაიწყო 1980 წელს.**
**მწვრთნელი გივი ჯაფარიძე.**
**1980-1983 წლების საქართველოს ჩემპიონი გიგანტურ სლალომში მოსწავლეთა შორის.**
**ზამთრის I რესპუბლიკური სპორტული თამაშების ჩემპიონი სპეციალურ და გიგანტურ სლალომში.**
**მონაწილეობს ზამთრის I საკავშირო თამაშებში.**





**გურამ ასათიანი**

**სამთო-სათხილამურო სპორტი**

**დაიბადა 1969 წელს თბილისში.**
**სიმაღლე 170 სმ. წონა 62 კგ.**
**თბილისის 58-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ოსტატობის კანდიდატი, ვარჯიშობს განათლების სამინისტროს სპორტულ სკოლაში, მწვრთნელი გიორგი ჯიჩოევი.**
**საქართველოს და თბილისის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ ტრადიციული პრიზის მფლობელი გიგანტურ სლალომში, ბორის კახიანის მემორიალის მეორე პრიზიორი სპეციალურ სლალომში, ჭაბუკთა ზამთრის პირველი რესპუბლიკური სპორტული თამაშების მეორე პრიზიორი სპეცსლალომსა და სწრაფდაშვებაში.**
**მონაწილეობს ზამთრის საკავშირო თამაშებში.**

## ფიგურული ციგურაობა

**გუნდის უფროსი მწვრთნელი ვალენტინა რეტივიხი, მწვრთნელები გიული თავაძე, ალექსანდრე შამუგლაშვილი, ქორეოგრაფი ლიუდმილა გიურჯიდი.**

გვესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის სახეობათა მთავარი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი **ირაკლი ჯაფარიძე.**

**სსრ კავშირის** ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადის შემდეგ ასეთი დიდი სპორტული გამოცდა არ გვქონია. როგორც ცნობილია, კრასნოიარსკში 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ ნელი დვალიშვილმა ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობაში გოგონათა შორის მცირე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო გუნდის ხუთივე წევრმა ჩვენს კოლექტივს 255 ქულა შესძინა. იმავე წელს ოსტატობის კანდიდატმა ლია სამხარაძემ ოდესაში გამართულ საკავშირო პირველობაზე გაიმარჯვა, შემდეგ კი რიგის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ნოემბერში 15 წლის თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ანდრეი ტოროსიანმა ჩელიაბინსკის საკავშირო პირველობაზე მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. სარაევოს იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე ნ. დვალიშვილი საპატიო მეოთხე ადგილზე გავიდა. ეს იყო ქართველი მოციგურავის პირველი გამოსვლა დიდ მსოფლიო სარბიელზე. თუმცა ქართველები ადრეც წარმატებით გამოდიოდნენ საერთაშორისო ტურნირებში: გავიხსენოთ მარინე ცერცვაძე, ლია გაბელაია, გია შანყულაშვილი. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მოციგურავეებს, როგორც იტყვიან, „ფეხქვეშ ჩაუტყდათ ყინული“ — ჯერ იყო და 8 თვის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოხერხდა სამაცივრო დანადგარების წესრიგში მოყვანა. მერე რესპუბლიკის ამ ერთადერთი საციგურაო სკოლის რემონტი გაჭიანურდა, გარდა ამისა, საგრძნობლად გართულდა| იჯარით მოედნების აღება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

ამ დაბრკოლებათა გამო, წამყვანმა ოსტატებმა სპორტული ფორმა დაკარგეს, ხოლო ახალგაზრდების დაოსტატება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

ჭაბუკთა ზამთრის I საკავშირო სპორტული თამაშების წინ დიდი სიძნელის წინაშე აღმოვჩნდით — სად მოგვემზადებინა ნაკრები გუნდი?

სექტემბერში პირველი შეკრება ჩატარდა დნეპროპეტროვსკში. ნოემბერში ასეთივე შეკრება ქალაქ ელექტროსტალში გაიმართა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ორი თვე გაგვიცდა — ისღა მოვახერხეთ, მოციგურავეები სპორტულ დარბაზში გვევარჯიშებინა ფიზიკურ მომზადებაში. 7 თებერვლიდან კვლავ შევძელით ნაკრების წევრების ყინულზე გამოყვანა — ქალაქ უსტინოვის, ყოფილი იჟევსკის სპორტის მესვეურებმა თვენახევრით დაგვითმეს თავიანთი სპორტის სასახლის სარბიელი.

17-20 მარტს აქვე გაიმართა საქართველოს ჭაბუკთა ზამთრის პირველი სპორტული თამაშები. შეჯიბრების შედეგების მიხედვით საბოლოოდ დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც იასპარეზებს საკავშირო თამაშებში (ჩელიაბინსკი, 24-28 მარტი).

გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენენ გამოცდილი სპორტსმენები — ოსტატობის კანდიდატები: ნელი დვალიშვილი („განთიადი“), ლია სამხარაძე („დინამო“), ლიანა თათარაშვილი („დინამო“), ანდრეი



ნელი დვალიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე.

ტოროსიანი („განთიადი“), გიზო ბლიაძე („დინამო“). სულ ჩვენს გუნდში 10 მოციგურავეა, მათ შორის ერთი სპორტული წყვილიც— ელენა ესიკონენკო და გელა აკობაშვილი.

დიახ, მწვრთნელებსაც და სპორტსმენებსაც მეტად რთულ პირობებში უხდებათ მუშაობა. მიუხედავად ამისა, იმედს მაინც არ ვკარგავთ. გუნდი იბრძოლებს მეშვიდე-მერვე ადგილისთვის, ცალკეულ სპორტსმენებს საპრიზო ადგილებზეც კი შეუძლიათ იფიქრონ.

ასეა თუ ისე, მომავალში კიდევ უფრო დიდი გამოცდა გველის — საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის VI სპარტაკიადა, რომელიც 1986 წელს კვლავ კრასნოიარსკში გაიმართება. იმისათვის, რომ წარსულ წლებში მიღწეული წარმატებები ვამრავლოთ, საჭიროა გვქონდეს საკუთარი ყინულის მოედანი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დროა თბილისში სტანდარტული ზომის ყინულისმოედნიანი დარბაზი, ‐ თქვა მან.

**ნუგზარ ქორელის ფოტოები.**

## მკითხველი — გაზეთი

**შეკითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ არის უფლებამოსილი სწავლის პერიოდში სასკოლო მეცადინეობებიდან გაანთავისუფლოს მოსწავლე, რომელიც სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობს?**

**სიმონ გივიაშვილი,**
**მშობელი,**
**თბილისი.**

ეს შეკითხვა რედაქციამ გააცნო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს **თამაზ ნათიძეს.** აი, რა გვითხრა მან: საერთოდ მოსწავლეთა შეჯიბრებები არდადეგების პერიოდში იგეგმება. მაგრამ, ზოგჯერ ხდება გამონაკლისიც — მეტწილად მაშინ, როცა ბავშვი ამა თუ იმ სპორტული საზოგადოების სექციის წევრი ან სპორტული სკოლის მოსწავლეა. ამ სპორტულმა საზოგადოებამ ბავშვის სკოლიდან განთავისუფლების შესახებ თხოვნით უნდა მიმართოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტს, რომელიც თავის მხრივ დასვამს საკითხს განათლების სამინისტროს წინაშე. რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე არავის არა აქვს უფლება სკოლის მეცადინეობებიდან გაანთავისუფლოს მოსწავლე. იმ შემთხვევაში, როცა სპორტული ღონისძიება რესპუბლიკის ფარგლებში ტარდება, განათლების რაიონული განყოფილებები უფლებამოსილი არიან შეკრების ან სპორტული შეჯიბრებების მონაწილე ბავშვები, როგორც გამონაკლისი, გაანთავისუფლონ სასწავლო მეცადინეობებიდან არა უმეტეს ათი დღის ვადით.

# მოსკოვის „დინამო" — ნახევარფინალში

## ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 20 მარტი.
„დინამო" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ლარისა" (ქ. ლარისა, საბერძნეთი) 1:0 (0:0).

„დინამო": პრუდნიკოვი, ხრლკინი, ნოვიკოვი, ფომიჩოვი, გოლოვნია, ხაპსალისი, ატაულინი, ვასილიევი, სტუკაშოვი (პუდიშევი), კარატაევი (ბოროდიუკი), გაზაევი.

„ლარისა": პლიცისი, პარაფესტასი, პაციკურისი, მიცბონასი, გალიცოსი, ვუტირიცასი, ზიოგასი (ციოლისი, რიგასი), კმეციკი, ადამჩიკი, ანდრეულისი, ვალაურასი.

მსაჯი რ. ვალენტაინი (შოტლანდია).
გააფრთხილეს გოლოვნია.

**მოსკოვის** დინამოელები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ამ საპასუხო მეოთხედფინალური მატჩის წინ საკმაოდ რთული, მაგრამ კონკრეტული ამოცანის წინაშე იმყოფებოდნენ: გარდა ანგარიშისა 0:0, თუ კი მატჩი ფრედ დამთავრდებოდა, ნახევარფინალში ბერძენი ფეხბურთელები გავიდოდნენ. ამიტომ დინამოელებს მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ, გუნდმა სწორედ ამ ამოცანის შესასრულებლად ითამაშა, მაგრამ „ლარისა" მეტად ძნელი და ენერგიული მეტოქე აღმოჩნდა. მოსკოველები პირველი 10-15 წუთის მანძილზე ხშირად და მეთოდურად, დიდი ძალებით უტევდნენ, კარშიც ურტყამდნენ, მაგრამ ამ შეტევებიდან ისინი ვერაფერს გამორჩნენ, სტუმრები თავგამოდებით, მონდომებით იცავდნენ თავს, შემდეგ კი სულ მცირე შესაძლებლობასაც კარგად იყენებდნენ კონტრიერიშებისთვის, მერე საქმე იქამდეც მივიდა, რომ შუა ტაიმში თამაში საერთოდ გათანაბრდა, და თუ „ლარისას" მცველებს მძიმე დატვირთვა ჰქონდათ, არანაკლები დაძაბულობით უხდებოდა თამაში დინამოელთა დაცვას.



„ლარისას" რიგებში, უდავოდ, გამოირჩეოდნენ შუა ხაზის მოთამაშეები კმეციკი, ვუტირიცასი, შეტევის ხაზზე ხშირად და სწრაფად გადიოდა ადამჩიკი, ხოლო ვალაურასი თითქმის არ სცილდებოდა მეტოქის საჯარიმო მოედნის მისადგომებს.

ტაიმის დასასრულს, მცირე ხნით, ინიციატივამ კვლავ დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია — 0:0.

შესვენების შემდეგ „დინამომ" კიდევ უფრო მოუმატა ტემპს, შესაბამისად მოუმატა შეტევებსაც, მაგრამ ზუსტი ანალოგიით გამეორდა პირველი ტაიმის მოვლენები: ბერძნებმა მოიგერიეს მოსკოველთა დაწოლა და ახლა თავად შეუტიეს მეტოქეს. ისევ საზიფათოდ თამაშობდა თავდამსხმელი ვალაურასი.

მატჩი ძალზე დაიძაბა და ვინ იცის, შეიძლება დინამოელთა გამარჯვების საკითხი ეჭვის ქვეშაც დამდგარიყო, რომ ფომიჩოვს 61-ე წუთზე ძალზე ზუსტად და ძლიერად არ დაერტყა. მეკარე პლიცისმა რეაგირება ვერც მოასწრო, როცა უძლიერესად დარტყმული ბურთი ბერძენთა კარში აღმოჩნდა.

ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მოსკოვის „დინამოსა" და საბერძნეთის „ლარისას" 2-რაუნდიანი ბრძოლის ბედი. მეტოქის მრავალი ცდის მიუხედავად, მოსკოველებმა ბოლო წუთებამდე ენერგიულად, სრული მობილიზებით ითამაშეს, შეინარჩუნეს გამარჯვება და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალშიც დამსახურებულად გავიდნენ.

**როდიონ ქორიძე.**



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** მოსკოვის „დინამოსა" და საბერძნეთის „ლარისას" გუშინდელი მატჩის მომენტები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

● ● ●

**გუშინ** ქ. კრიფოი როგში გაიმართა ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" ფეხბურთელებმა მიიღეს საფრანგეთის „ბორდო".

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. ვინაიდან, ამ გუნდების პირველი შეხვედრა ბორდოშიც ასეთივე შედეგით აღინიშნა, საჭირო გახდა დამატებითი დროის დანიშვნა. გამარჯვებული ვერც ორმა თხუთმეტწუთიანმა ტაიმმა გამოავლინა. პენალტების სერიაში ფრანგებმა იმარჯვეს (5:3). „ბორდო" ნახევარფინალში გავიდა.

---

## ჭაბუკთა I რესპუბლიკური სპორტული თამაშები

# სიმაღლეს ტექნიკას დავუპირისპირებთ

**ბოლო** წლებში ისე შევეჩვიეთ თბილისელ სპორტსმენთა გამარჯვებებს რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, რომ უკვე ასპარეზობის დაწყებამდეც კი ეჭვი არ გვეპარება მათ წარმატებაში. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ჭაბუკთა პირველმა რესპუბლიკურმა თამაშებმა კალათბურთში, რომელსაც აფხაზეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. სოხუმში ჩასული რვა გუნდი ორ ჯგუფად დაიყო და წრიული სისტემით შეხვდა ერთმანეთს. პირველ ქვეჯგუფში თბილისელ ჭაბუკებთან ერთად მოხვდნენ აჭარის, რუსთავისა და ზესტაფონის გუნდები. დედაქალაქის კალათბურთელები, რომლებიც რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების მთავარ ძალას წარმოადგენენ, თამაშების წინ ჩამოვიდნენ ბაკურიანიდან, სადაც საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიოდნენ. სოხუმში თამაშების ფავორიტებმა, თბილისელმა კალათბურთელებმა (ლევან სამხარაძე, ზურაბ კობახიძე, არჩილ მხეიძე, ალექსანდრე ფერიაშვილი, გურამ ვაშაკიძე, დავით ტალაბაძე, გია რაფავა, გელა დოკვაძე, სანდრო დონაძე, ზაზა ცაგარეიშვილი, ბესიკ გოგელია, გოგა ბაკაშვილი; მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ივანე მხეიძე) ადვილად სძლიეს მეტოქეებს, აჭარელ, რუსთაველ და ზესტაფონელ სპორტსმენებს, შესაბამისად — 75:24, 101:43 და 126:43. მათ არც ფინალურ ჯგუფში გასჭირვებიათ გამარჯვება: ჯერ აფხაზეთის ნაკრები დაამარცხეს დიდი ანგარიშით — 89:59, შემდეგ კი ჩემპიონობის მოსაპოვებლად ქუთაისელ კალათბურთელებს შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა რიგებში რესპუბლიკის ნაკრების სამი წევრი გამოდიოდა (ოლეგ ხაბულიანი, გია წულაძე და მალხაზ კოხრეიძე), მათ ვერაფერი მოუხერხეს თბილისელთა, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ფერიაშვილისა და დავით ტალაბაძის შეტევებს და პირველი ტაიმი 20 ქულის სხვაობით წააგეს. მეორე ნახევრის მე-10 წუთისთვის თბილისელები შეხვედრას იგებდნენ 33 ქულით და ცოტა მოეშვნენ. ამით ისარგებლეს ქუთაისელმა კალათბურთელებმა და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, მაგრამ მატჩი საბოლოოდ მაინც დათმეს — 62:85.

ასე დამთავრდა ეს შეხვედრა და თბილისელი კალათბურთელები ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონები გახდნენ.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა ჰქონდათ აფხაზეთისა და რუსთავის გუნდებს. შაიხვესეირელ კალათბურთელებს, რომელთა ლიდერებს



რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ორი წევრი (ირაკლი ჭოლოკავა და მამუკა ბალათურია) იცავდა, არ გასჭირვებიათ მეტოქის დამარცხება. მათ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, არც ერთს არ მოუხდენია შთაბეჭდილება, რადგან გუნდები სუსტად იყვნენ მომზადებული. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს გორელ კალათბურთელთა ულიმღამო გამოსვლა. მათ მხოლოდ ზესტაფონის გუნდის დამარცხება შეძლეს და რვა კოლექტივს შორის ბოლოს წინა ადგილი დაიკავეს. ეს მაშინ, როცა გორელთა შემადგენლობაში გამოდიოდა თამაშებისა და, საერთოდ, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელი ზვიად ინაური (206 სმ). სამწუხაროდ, ასეთი უპირატესობის გამოყენება გორელებმა ვერ შეძლეს.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია (მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის არბიტრი ნოდარ დარახველიძე). სოხუმის სპორტსკოლა (დირექტორი იური უსტაბაშიძე), სადაც შეჯიბრებები ჩატარდა, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა პირველ რესპუბლიკურ თამაშებს. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა კი საგანგებო პრიზები დააწესეს გამარჯვებული გუნდებისა და საუკეთესო მოთამაშეებისათვის.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ჩემპიონთა უფროს მწვრთნელს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს **ივანე მხეიძეს**, რომელიც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს პირველი საკავშირო თამაშებისთვის ამზადებს.

**● პირველი თამაში, როგორც ცნობილია, ჩვენს გუნდს ბელორუს ჭაბუკებთან ექნება. როგორ ემზადებით ამ შეხვედრისთვის და, საერთოდ, წარმატების რა შანსი გაქვთ?**

— პირველი საკავშირო თამაშებისთვის მზადებას მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დამთავრებისთანავე შევუდექით. შევარჩიეთ ნაკრების კანდიდატები და წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით ვემზადებით. რაც შეეხება წარმატებას, ამაზე ნაადრევია ლაპარაკი, რადგან ჩვენი გუნდი ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა. რვა საუკეთესოს შორის მოსახვედრად რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებთან მოგვიწევს შებრძოლება. მართალია, ეს კოლექტივები ჩვენთვის უცნობი არ არის, დაგვიმარცხებია კიდეც, მაგრამ თვითდამშვიდების უფლება არა გვაქვს, რადგან სამივე მეტოქეს შეუძლია გუნდი მთლიანად გადააბალისოს.

**● კიდევ რა უპირატესობა აქვთ მეტოქეებს?**

— საქართველოს გუნდებისთვის სიმაღლე ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო. ეს პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია. გუნდში მხოლოდ ორი ტანმაღალი კალათბურთელი გვყავს — ალექსანდრე ფერიაშვილი (203 სმ), რომელმაც „დინამოს" ძირითად შემადგენლობაშიც ითამაშა, და გორელი ზვიად ინაური. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის ფიზიკური და ტექნიკური მომზადება არ შეეფერება დღევანდელ მოთხოვნებს, რადგან მას დროზე არავინ მიაქცია ყურადღება და შედეგიც არასახარბიელოა. დიდი შრომა და ჯაფა მოგვიწევს, რომ იგი ძირითად შემადგენლობაში გამოვიყვანოთ. რაც შეეხება მეტოქე გუნდებს, მათ რამდენიმე ტანმაღალი კალათბურთელი ჰყავთ, ამიტომ თამაშებზე ჩვენმა გუნდმა სიმაღლეს სისწრაფე, ტექნიკა უნდა დაუპირისპიროს. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა და რვა საუკეთესო გუნდს შორის მოვხვდით, მაშინ საპრიზო ადგილებზეც შეიძლება ფიქრი.

**● წვრთნისთვის როგორი პირობები გაქვთ?**

— ჩვენს მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ. განსაკუთრებით მადლიერი ვართ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობისა, რომელმაც დილმის საწვრთნელი ბაზა დაგვითმო. დინამოელთა უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი ჩვენი კონსულტანტია და მისი მეთვალყურეობით ვატარებთ მეცადინეობებს.

**● წარმატების მისაღწევად მარტო წვრთნა არ არის საკმარისი. პრაქტიკაც აუცილებელია...**

— 24-30 მარტს ოდესაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოგვიწევს თამაში. აპრილში ბათუმში ჩატარდება სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო პირველობა.



ჩვენ თხოვნით მივმართეთ საორგანიზაციო კომიტეტს და ამ შეჯიბრებაში უკონკურსოდ მივიღებთ მონაწილეობას. მაის-ივნისში თბილისში გვინდა ტურნირის მოწყობა, სადაც სხვა რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებსაც მოვიწვევთ. ივნისის მეორე ნახევარში კი კაუნასის ტურნირზე მივემგზავრებით. ერთი სიტყვით, 3 ივლისის მატჩისთვის ვეცდებით ყოველმხრივ მომზადებული ვიყოთ და ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებზე რვა საუკეთესო გუნდს შორის მოსახვედრად ვიბრძოლოთ.

**ვაჟა დანელია,**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

სოხუმი.

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი — თბილისის ნაკრები გუნდი; თამაშის მომენტი.**

**ავტორის ფოტოები.**

# ყველაზე ტექნიკური ფინალი

ამ დღეებში პენზაში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა კრივში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის 15 წარმომადგენელი გამოდიოდა. ფინალამდე მხოლოდ ერთმა მოკრივემ ნიკოლოზ სეთურმა მიაღწია (91 კგ). ამ სპორტსმენმა სამი შეხვედრა მოიგო და ფინალში ანჯეი ჩოლოკინს (რსფსრ) შეხვდა. ჩოლოკინი გამოცდილი მოკრივეა — ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, შარშან კი თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა. ჩვენმა მოკრივემ ტოლი არ დაუდო მეტოქეს, ორთაბრძოლა თანაბრად წარიმართა, საბოლოოდ კი ჩოლოკინმა მცირე უპირატესობით გაიმარჯვა. ეს შეხვედრა სპეციალისტებმა ყველაზე ტექნიკურ და საინტერესო ორთაბრძოლად აღიარეს. სეთური შეყვანილია ქვეყნის ნაკრებ გუნდში, რომელიც მსოფლიო ახალგაზრდული პირველობისთვის მოემზადება. ეს ასპარეზობა შემოდგომაზე გაიმართება.



ახალგაზრდა მოკრივეთა პირველობის პრიზიორი

## ნიკოლოზ სეთური

**კრივი**

დაიბადა 1968 წელს თბილისში.
სიმაღლე 182 სმ. წონა 91 კგ.
სწავლობს თბილისის 134-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასში.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1981 წელს, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის რუბენ ახნაზაროვის ხელმძღვანელობით.
ამჟამად ავარჯიშებენ ახნაზაროვი და სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე.



ემზადება რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ სპორტულ სკოლაში.
არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის.
„შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს 1985 წლის ჩემპიონი.
საბჭოთა კავშირის 1985 წლის ახალგაზრდული პირველობის მეორე პრიზიორი. შესრულებული აქვს სპორტის ოსტატის ნორმატივი.

## თასების თასი — „ბარსელონას“

**გრენობლი.** ამ შეხვედრაზე კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელები დიდ იმედებს ამყარებდნენ და მართლაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს პირველად მიეცა საშუალება თავი გამოეჩინა ევროპული რანგის ტურნირში — თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ლიტველმა კალათბურთელებმა წარმატებით ჩაატარეს ყველა წინასწარი შეხვედრა და ესპანეთის „ბარსელონასთან“ ერთად ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ფინალში მისი პრეტენზიები დასაბუთებული ჩანდა, მაგრამ...

ორი დაახლოებით თანაბარი სიძლიერის გუნდის პრინციპულ დავაში გადამწყვეტ მნიშვნელობა ხშირად გარეშე ფაქტორს ენიჭება. „ჟალგირისს“ აშკარად აკლდა ამ რანგის ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება და ამიტომაც ბოლომდე ვერ გაუძლო ფსიქოლოგიურ დატვირთვას. სწორედ ამის ბრალი იყო ელემენტარული შეცდომები გადაცემებში, საჯარიმო სროლების რეალიზაციის დაბალი ხარისხი.

„ბარსელონა“ მთელი თამაშის მანძილზე წინ იყო და ტაიმი 16 ქულითაც კი მოიგო — 51:35. შესვენების შემდეგ კაუნასელებმა შესამჩნევად გამოასწორეს მდგომარეობა, თამაში თითქმის გათანაბრდა კიდეც, მაგრამ ესპანეთის გუნდი მაინც ინარჩუნებდა უმნიშვნელო უპირატესობას. რამაც „ბარსელონას“ საბოლოო გამარჯვება მოუტანა — 77:73.

დამარცხებულთა შორის კურტინაიტისი უდავოდ უძლიერესი იყო — 36 ქულა. აი საბონისმა კი თავისი შესაძლებლობები ვერ გამოიყენა — 14 ქულა. ესპანელთაგან თავი გამოიჩინეს სიბილისმა (29) და სან ეპიფანიომ (18).

უველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარის, ჩეხოსლოვაკიელი ფრანტიშეკ პლანიჩკას აზრით, უწინ ფეხბურთი სანახაობრივად უფრო ლამაზი და მიმზიდველი იყო. „თითოეულ ფეხბურთელს მატჩის მსვლელობისას უფრო თამამად შეეძლო ინიციატივის გამოვლენა. გარდა ამისა, ჩემი დროის ფეხბურთისთვის დამახასიათებელი იყო იუმორი და იდეების მრავალფეროვნება. ახლა ფეხბურთი უფრო სწრაფი, უფრო ათლეტური გახდა და შესაძლოა ამიტომაც დაკარგა სილამაზე“, — ამბობს დღეს უკვე 80 წლის პრაღელი პენსიონერი ფრანტიშეკ პლანიჩკა.

## ფრანტიშეკ პლანიჩკა:
## „ფეხბურთმა დაკარგა უწინდებური სილამაზე“

„ფრანტა“, როგორც მას თანაგუნდელები უწოდებდნენ, თავისი საქმის უბადლო ოსტატი იყო. მსოფლიოს 1934 წლის ჩემპიონატის შემდეგ ფრანგული გაზეთი „პარი სუარი“ წერდა: „პლანიჩკა საუკეთესო მეკარეა ჩვენს პლანეტაზე. ვისაც ფეხბურთი ესმის, არ შეიძლება არ მოიხიბლოს მისი კატისებური ნახტომით“. თვით პლანიჩკამ კი განაცხადა: „ყველა დროის საუკეთესო მეკარედ მე ესპანელი რიკარდო ზამორა მიმაჩნია. მსგავსი ოსტატი არც მანამდე, არც მერე არ შემხვედრია!“ პლანიჩკას კომპეტენტურობა ცხადია ეჭვს არ იწვევს. მან ზამორასთან ერთად იასპარეზა მსოფლიოს 1934 წლის ჩემპიონატში. ამ ორმა მეკარემ უდიდესი წვლილი შეიტანა ფეხბურთის განვითარებაში, თითოეულმა თავისებურად გაამდიდრა ეს თამაში.

პლანიჩკა ბრწყინვალედ თამაშობდა კარიდან გამოსვლისას, არაფერს არ უშინდებოდა. „ვცდილობდი, მეტოქის თავდამსხმელისთვის კარში დარტყმის საშუალება არ მიმეცა“, — ამბობს იგი.

გარდა იმისა, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, პლანიჩკა გუნდის კაპიტნის მოვალეობასაც ასრულებდა. „მოედანზე მე უფროსი მწვრთნელის თანაშემწე ვიყავი. ხშირად ვკარნახობდი ჩვენს ბიჭებს, როგორ უნდა ეთამაშათ ამა თუ იმ სიტუაციაში. მაშინდელი სისტემა — 2-3-5—ამის საშუალებას მაძლევდა“. პლანიჩკა იმასაც აღიარებს, რომ ტაქტიკას უწინ არ ენიჭებოდა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დღეს. „ყველასთვის ისედაც ნათელი იყო, რომ მეტოქისათვის უნდა შეგვეტია. ჩვენი გუნდი კარგად შეკრული კოლექტივი იყო, მის ყოველ წევრს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ფეხბურთის თამაში“.

თავის დროზე პლანიჩკა თავდამსხმელობაზე ოცნებობდა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. ღარიბ ოჯახში დაბადებული „ფრანტასათვის“ ნამდვილი ტყავის ბურთი აუხდენელი ოცნება იყო. ასეთი ბურთი ჰქონდა მის მეზობლად მცხოვრებ ერთ ბიჭს, რომელიც განსაზღვრავდა კიდეც ქუჩის გუნდის შემადგენლობას: „პატარავ, გთხოვ კარში დაიკავო შენი ადგილი!“ უნდოდა თუ არ უნდოდა, პლანიჩკას უნდა შეესრულებინა ბურთის პატრონის ეს ბრძანება. ასე დაიწყო მისი ბრწყინვალე კარიერა.

პლანიჩკას პირველი კლუბი იყო „სკ ბუბენეცი“, რომლის კარს იგი ეპიზოდურად იცავდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა გუნდის ძირითადი მეკარე დაშავდებოდა. მოგვიანებით პლანიჩკა 12 წლის განმავლობაში იცავდა ეროვნული ნაკრების ღირსებას. ნაკრების მაისური მან პირველად ჩაიცვა 1926 წელს იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში, უკანასკნელად კი 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა ნაკრების შემადგენლობაში.



პლანიჩკა იხსენებს: „მეოთხედფინალში ბრაზილიელებს ვხვდებოდით. მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში 1:1 იყო. ბრაზილიელთა ერთ-ერთი შეტევის დროს პერაჩიომ ბურთის მაგივრად ფეხი ხელში მომარტყა და მომტეხა კიდეც. დაინიშნა დამატებითი დრო. თავს ვინუგეშებდი, გუნებაში ვიმეორებდი —არაფერია, უნდა გაუძლო“. პლანიჩკამ შეუძლებელი შეძლო. მას ბოლომდე არ მიუტოვებია თავისი გუნდის კარი. მატჩი ფრედ დამთავრდა. დამატებით შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელთა კარს უკვე ბურკერტი იცავდა. ბრაზილიელებმა ეს შეხვედრა მოიგეს — 2:1.

პლანიჩკას ყველაზე უსიამოვნო მოგონებად დარჩა 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მაშინ ჩეხოსლოვაკიელებმა მხოლოდ ფინალური მატჩი წააგეს მასპინძლებთან — იტალიელებთან (1:2). სამშობლოში დაბრუნებულ ჩეხოსლოვაკიელებს მოსახლეობა ზარზეიმით შეხვდა.

საქმე ის გახლავთ, რომ დიქტატორი მუსოლინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ასპარეზობას და იტალიის ნაკრების წარმატებისთვის აკრძალულ ხერხებსაც არ ერიდებოდა.

„ჩემპიონატის ფინალი სამარცხვინო იყო. მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მუსოლინიმ საპატიო ლოჟაში მიიწვია შვედი მსაჯი ეკლინდი და კარგა ხანს ესაუბრა მას“. ამ „მიღებისათვის“, ეკლინდმა მუსოლინის მეტად ორიგინალურად გადაუხადა მადლობა — იგი წამდაუწუმ სტვენდა იტალიელთა სასარგებლოდ. ფინალურ მატჩში მძიმედ დაშავდნენ კრჩილი და გუნდის მთავარი ბომბარდირი პუჩი. მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. ჩვენები, შეიძლება ითქვას, ცხრა კაც-ნახევრით ამთავრებდნენ ფინალურ შეხვედრას. მატჩის 69-ე წუთზე ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა პუჩმა. სამწუხაროა, რომ მაშინ მოთამაშეთა შეცვლა არ შეიძლებოდა, თანაც, სტადიონზე საათი რომ ყოფილიყო, ალბათ შევძლებდით ისე გაგვენაწილებინა ძალები, რომ გამარჯვება ბოლომდე შეგვენარჩუნებინა. მალე იტალიელებმა გაითამაშეს კომბინაცია, რომლის დროსაც ჩვენს მცველს ჩტორკის სარმით გაუმასპინძლდნენ. მსაჯის სასტვენი კვლავ დუმდა. სკიავიომ ბურთი გადასცა ორსის, რომელმაც ზუსტად ცხრაში დაარტყა. დამატებით დროში კი ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული. იტალიელები არაფერს თაკილობდნენ“.

პრაღის „სლავიას“ შემადგენლობაში პლანიჩკამ 1645 მატჩი ჩაატარა და 1358 გოლი გაუშვა (საშუალოდ თითოეულ მატჩში— 0,826 გოლი). ამ ათი წლის წინ 70 წლის მეკარე კვლავ გამოვიდა მინდორზე — ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ვეტერანებმა ვენის „პრატერის“ სტადიონზე საჩვენებელი მატჩი გამართეს მასპინძლებთან. 80 000 მაყურებელი კვლავ მოიხიბლა „ფრანტას“ ოსტატობით.

მასალა მოამზადა
**მალხაზ რადიანმა.**

**ს უ რ ა თ ზ ე: 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის წინ ერთმანეთს ესალმებიან მეტოქეთა კაპიტნები — იტალიელი კომბი (მარცხნივ) და ჩეხოსლოვაკიელი პლანიჩკა. შუაში დგას შვედი მსაჯი ეკლინდი.**

## საშუალედო ფინიშზე

**დამთავრდა** უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური. გთავაზობთ ბოლო დღის მატჩების შედეგებს.

**კაუნასი.** „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (მინსკი) 20:36 (12:15), მაი — ასკ (კიევი) 25:24 (14:13), „გრანიტასი“ (კაუნასი) — „კუნცევო“ 30:24 (16:10).

**კრასნოდარი.** ცსკა — „ნევა“ 34:28 (17:14), „პოლიოტი“ (ჩელიაბინსკი) — ზიი (ზაპოროჟიე) 24:23 (14:14), სკიფ-ი (კრასნოდარი)—ასკ (ლვოვი) 24:22 (11:12).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (მინსკი) | 16 | 12 | 1 | 3 | 25 |
| ცსკა | 16 | 11 | 2 | 3 | 24 |
| ზიი (ზაპორ.) | 16 | 11 | 0 | 5 | 22 |
| „გრანიტასი“ (კაუნ.) | 16 | 10 | 1 | 5 | 21 |
| მაი | 16 | 10 | 0 | 6 | 20 |
| „პოლიოტი“ (ჩელ.) | 16 | 9 | 1 | 6 | 19 |
| სკიფი (კრასნ.) | 16 | 6 | 3 | 7 | 15 |
| „კუნცევო“ (მოსკ.) | 16 | 7 | 1 | 8 | 15 |
| ასკ (კიევი) | 16 | 7 | 0 | 9 | 14 |
| „ნევა“ (ლენინგ.) | 16 | 4 | 1 | 11 | 9 |
| „ბურ.“ (თბ.) | 16 | 2 | 0 | 14 | 4 |
| ასკ (ლვოვი) | 16 | 2 | 0 | 14 | 4 |

### ინფორმაცია

**დასასრულს** უახლოვდება რეგბისტთა ერთ-ერთი ყველაზე საპრესტიჟო ტურნირის — „ხუთი ეროვნების თასის“ გათამაშება. წლევანდელი შეჯიბრების ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო შოტლანდიის ნაკრების წარუმატებელი თამაში. ამ ტრადიციულად ძლიერმა გუნდმა ოთხივე შეხვედრა წააგო — ბოლო მატჩში ინგლისელებთან დამარცხდა ანგარიშით 7:10. სამაგიეროდ, ჩინებულად ასპარეზობს ირლანდიის ეროვნული გუნდი. მორიგ ტურში ირლანდიელებმა აშკარა უპირატესობით სძლიეს უელსელებს — 25:9. ახლა ირლანდიის ნაკრებს 3 თამაშიდან 5 ქულა აქვს და სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს. II ადგილზე არიან ფრანგები (3 თამაშიდან 4 ქულა), მესამეზე — ინგლისელები (2-დან 3), მეოთხეზე — უელსელები (2-დან 2). შოტლანდიის გუნდმა უკვე ოთხივე მატჩი გამართა და ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა.

**ლას-ვეგასი.** მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ამერიკელმა ლარი ჰოლმსმა წარმატებით დაიცვა თავისი ტიტული. მან მე-10 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ამ ტიტულის მაძიებელი, თანამემამულე დეივიდ ბეი. ეს გახლდათ ჰოლმსის 47-ე გამარჯვება პროფესიულ რინგზე ჩატარებულ 47 შეხვედრაში. საინტერესოა ისიც, რომ ჰოლმსმა მეცხრამეტედ დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ბეისთან ბრძოლის წინ 35 წლის სპორტსმენმა განაცხადა, რომ ეს მისი უკანასკნელი გამოსვლა იქნებოდა რინგზე. მაგრამ მიმომხილველებსა და სპეციალისტებს ეჭვებათ, რომ ჰოლმსი სიტყვას შეასრულებს, და აი, რატომ: პროფესიული კრივის ერთ-ერთი ყველაზე საპრესტიჟო რეკორდი (49 გამარჯვება 49 შეხვედრაში) ეკუთვნის წარსულში გამოჩენილ ამერიკელ სპორტსმენს როკი მარჩიანოს. ჰოლმსს სულ 3 ბრძოლა აქვს მოსაგები ამ რეკორდის მოსახსნელად და, საყოველთაო აზრით, შეეცდება კიდეც ამას.

**რედაქტორი ა. გოგელია.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

27 მარტი
**ფეხბურთი**

**სსრ კავშირი (ნაკრები) — ავსტრია (ნაკრები)**

დასაწყისი 20 საათზე

სტადიონის სალაროებში ბილეთები გაიყიდება 23 მარტიდან 27 მარტის ჩათვლით. ორგანიზაციებში — 25 და 26 მარტს, ხოლო აბონემენტების მფლობელები ბილეთებს შეიძენენ №7, №8 და № 9 სალაროებში 23 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით.

სალაროები იმუშავებენ 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მართვე“ — 93-97-27, „შერაზი“ — 93-97-36

ჩვენი ინდექსი 66486

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხიმშიაშვილის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 08509